

პარლამენტმა საბიუჯეტო ცვლილებები და გენერალური აუდიტორი დაამტკიცა

დათო ბაჩოსია

გუშინ პარლამენტმა 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილება დაამტკიცა, რომელიც 19 ივლისს მომხდარი სტიქიური მოვლენების გამო დადგა დღის წესრიგში. რიგგარეშე სხდომა სახელმწიფო ჰიმნით გაიხსნა. მომხსენებელი კი ფინანსთა მინისტრი დიმიტრი გვირგვინი იყო. ოპოზიციონერი დეპუტატების ინტერესის მთავარ საგანს, ბიუჯეტის ცვლილების პროექტზე მეტად, კვლავ პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდების წარმოადგენდა.



ბაზრძალაბა
მე-3 გვერდზე

"ნაციონალური მოძრაობა" კვლავ ლიდერობს

მაგდა ლაქიაშვილი

ამერიკის რესპუბლიკური ინსტიტუტი საკუთარი კვლევის შედეგებს ოფიციალურად კვლავ არ ასაჯაროებს. საერთაშორისო ორგანიზაციის პარტიებისთვის ინდივიდუალურ რეჟიმში შედეგების გაცნობა ჯერ არ დაუსრულებია. მხარეებს შორის არსებობს შეთანხმება, რომ კონკრეტული ციფრები მანამდე არ გახდება ცნობილი, სანამ ყველა პარტია საკუთარი რეიტინგს არ გაიგებს.

საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომელიც ივლისის პირველ ნახევარში ჩატარდა, ასახავს მოქალაქეების დამოკიდებულებას პოლიტი-

კური პროცესების მიმართ, მათ განწყობას არჩევნების წინ და, ასევე, პოლიტიკოსთა რეიტინგებს. ცალკეულმა პოლიტიკოსებმა ჟურნალისტებთან საუბრისას შედეგების ნაწილი გაამხილეს.

დოკუმენტის თანახმად, პოლიტიკურ ლიდერებს შორის 73%-ით პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ლიდერობს. შეკითხვაზე, ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, ვის მისცემდით ხმას, გამოკითხულთა 43% მხარს უჭერს "ერთიანი ნაციონალური მოძრაობას" და მიხეილ სააკაშვილს; "ქართული ოცნება" საკუთარ ფავორიტად 24%-მა დაასახელა; "ქრისტიან-დემოკრატებზე" არჩევანი გამოკითხულთა

7%-მა შეაჩერა; 5%-მა არც ერთ პარტიას არ დაუჭირა მხარი; პასუხი კი 19% არ აქვს. ამ გაცხადებული მონაცემების მიხედვით, ხსენებული სამი პოლიტიკური სუბიექტის გარდა, ვერც ერთ სხვა გაერთიანება პარლამენტში მოსახვედრად საჭირო ბარიერის გადალახვას ვერ ახერხებს.

ერთ-ერთი კითხვა ეხებოდა საპრეზიდენტო არჩევნებსაც. საპრეზიდენტო არჩევნებში გამოკითხულთა 37% მმართველი გუნდის მიერ წარმოდგენილ კანდიდატს მიემხრობა, ბიძინა ივანიშვილს 24% დაუჭერს მხარს, გიორგი თარგამაძეს კი - 8%.

ბაზრძალაბა
მე-3 გვერდზე

სკანდალური ათნიკური წმენდის ნიშნებით

პრეზიდენტმა რახმონმა ხოროგში ცეცხლის შეწყვეტა მოითხოვა

სალმე ჯანაშვილი
ივა შილაკაძე

ტაჯიკეთის პრეზიდენტმა ემომალი რაჰმონმა მთიანი ზღვების ავტონომიური ოლქის თავმჯდომარესთან კოდირი კოსიმთან სატელეფონო საუბრის დროს პამირში სამხედრო ოპერაციის შეჩერება მოითხოვა.

ჩვენი მკითხველისთვის უკვე ცნობილია, რომ სპეცოპერაცია, რომელიც მიზნად მთიანი ზღვების ოლქის

ეროვნული უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოს უფროსის აბდულო ნაზაროვის მკვლელობაში დამნაშავეთა აყვანას ისახავდა, ავტონომიურ ოლქში 24 ივლისს გამთენიისას დაიწყო. ხოროგში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განცხადება ადგილობრივი დროით 14 საათზე გაკეთდა. ხელი-სუფლება გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობის და, ასევე, ზარალის დათვლას დაიწყებს.

სიმშვიდეა, თუმცა რამდენ ხანს გაგრძელდება ასე, უცნობია. მოედანზე შეკრებილი ქალები მოითხოვენ, რომ მათ მისცენ მათი გარდაცვლილი ნათესავების ცხედრების ქუჩებიდან სახლში გადასვენების და დაკრძალვის საშუალება. დაღუპულთა შორის არიან ბავშვები, ქალები და მოხუცები. მოედანზე შეკრებილი ადამიანები აცხადებენ, რომ ცხედრების შეგროვებას ვერ ასწრებენ.

ბაზრძალაბა
მე-4 გვერდზე

ობამა რომის საბაროპოლიტიკურ ხედვას აკრიტიკებს

თამთა ქახაძე

ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი მეტოქე, რესპუბლიკელი მიტ რომნი საგარეოპოლიტიკური ხედვების გამო მკაცრად გააკრიტიკა.

"ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, ორშაბათს ომის ვეტერანების ყრილობაზე გამოსვლისას ობამამ ყურადღება რომის იმ განცხადებაზე გაამახვილა, რომლის თანახმადაც, ამერიკა ობამას პრეზიდენტობის დროს უკან მიდის: "თუ ვინმე შეეცდება იმის თქმას, რომ ამერიკის სიძლიერე წარსულში რჩება, ჩვენ მათ ვუპასუხებთ - მე-20 საუკუნის მსგავსად, 21-ე საუკუნეც ამერიკის სიძლიერის



საუკუნე იქნება. ჩვენ ამერიკელები ვართ და მმართველობის საუკეთესო ფორმა გვაქვს, რომელიც ადამიანს ოდესმე მოუფიქრებია," - აღნიშნა აშშ-ს პრეზიდენტმა.

რომნიმ ობამა გააკრიტიკა ავღანეთიდან ჯარების გა-

ბაზრძალაბა
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6625\$
1 ევრო	2.0103\$
1 ინგლისური გირვანკა	2.5780\$
1 თურქული ლირა	0.9091\$
100 რუსული რუბლი	5.0946\$
თბილისი	33°C - 21°C
ქუთაისი	40°C - 25°C
თელავი	34°C - 18°C
ზუგდიდი	39°C - 22°C
ბათუმი	33°C - 23°C
ნავთობი	2.80 -0.02 -0.82%
გაზი	3.08 -0.11 -3.44%
ოქრო	1,603.00 +26.80 +1.67%
ხორბალი	904.75 +26.00 +2.87%

"დილას" იმადიანი სადამო

სოსო კოტორიძე

ევროთასებს შემორჩენილი ორი გუნდი, რუსთავის "მეტალურგი" და გორის "დილა" დღეს ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის სა-

პასუხო მატჩებს გამართავენ. შემდეგ ეტაპზე გასასვლელად რეალური შანსი გორელებს აქვთ, რომლებმაც ერთი კვირის წინ დანიურ "ორჰუსს" სტუმრად 2:1 მოუგეს.

ბაზრძალაბა
მე-7 გვერდზე



"დილას" მცველი გიორგი ონიანი დანიელების გარემოცვაში

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი



4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!

ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინგაზოგს	5.90	4.90
ჰარი პოტერი და საიღუმლო ოთახი	9.00	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ქაღალაძი	6.90	3.00
ქართული ანთროპოლოგია	17.90	11.90
კავკასიის გეოგრაფიკული ატლასი	15.90	11.00

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

TBC BANK

FM 102.4

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

9 771987 19121001

ლუდის ზეიმი თბილისში

ლუდის მესამე ფესტივალი "ნატახტარისგან"

ნინო ნატროშვილი

მომღიმარი სახეები, დადებითი ემოციები და კარგი ენერჯეტიკა, ეს რამდენიმე სიტყვა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ თბილისში 21-22 ივლისს გამართული "ლუდის ფესტივალი" დაახასიათო.

აქტიური კომუნიკაცია და ლუდის ზეიმი შედგა. თბილისში ლუდის ფესტივალმა სახალხო ზეიმის სტატუსი სამართლიანად მიიღო.

ვარდების რევოლუციის მოედანზე გამართული "ლუდის ფესტივალი" ლუდსახარში "ნატახტარის" ეგიდით შედგა. ფესტივალზე კომპანიამ ოთხი ბრენდი "ნატახტარი", "მთიელი" "ქარვა" და "ეფესი" წარმოადგინა. ეს არის ოთხი, განსხვავებული გემოვნური თვისებებით შემკული ლუდი, რომელმაც სხვადასხვა გემოვნების ადამიანების სურვილი დააკმაყოფილა.

ლუდის ფესტივალი რომ კარგი გამოსულიყო, კომპანია "ნატახტარმა" ამისთვის ყველაფერი გააკეთა. "ნატახტარის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ნინო სურმაგამ წინასაფესტივალო პრესკონფერენციაზე გვითხრა, რომ "ნატახტარის" ლუდის ფესტივალის მიზანია საერთაშორისო საფესტივალო კალენდრის სიაში მოხვედრა.



რითაც, ფესტივალის საერთაშორისო პოპულარობა გაიზარდა და სულ უფრო მეტ ტურისტს მოიზიდავს.

"სწორედ მაშინ, როცა თბილისში ლუდის ფესტივალი იმართება, მსოფლიოს მასშტაბით, სხვადასხვა ქვეყანაში 30 ლუდის ფესტივალი მიმდინარეობდა. ერთი კვირის წინ კი მსოფლიოს სხვადასხვა

ქვეყანაში 40-მდე ასეთი ფესტივალი გაიმართა. ამით იმის თქმა მინდა, რომ მსოფლიოში არსებობს ე.წ. ლუდის ფესტივალების კალენდარი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურისტთა შორის

და სწორედ თავის მოგზაურობას სხვადასხვა ქვეყანაში სწორედ ამ ფესტივალს ამთხვევენ" - განაცხადა ნინო სურმაგამ.

მისი თქმით, როცა სამი წლის წინ, კომპანიამ ლუდის ფესტივალი პირველად გამართა, ერთ-ერთი მთავარი მიზანი ის იყო რომ დროთა განმავლობაში ეს ღონიძიება მსოფლიოს ლუდის ფესტივალების კალენდარში მოხვედრილიყო.

ლუდის ფესტივალისგან, ყველა მონაწილემ მაქსიმალური სიამოვნება მიიღო. საფესტივალო სივრცე ძალიან კარგად იყო ათვისებული და შევსებული. ჟღერდა ცოცხალი მუსიკა.

აზარტის მოყვარულთათვის სახალისო შეჯიბრებები ეწყობოდა. თბილისის ლუდის ფესტივალმა გამოავლინა თავისი რეკორდსმენები ლუდის სმაში და ჭამაში, საუკეთესო მსმელი ქალებს შორის. მოეწყო ასევე შეჯიბრი ბუშტებიდან ლუდის სმაში. ორი დღის განმავლობაში ლუდის ფესტივალზე შარშანდელთან შედარებით ორჯერ მეტი ლუდი დაილია.

ფესტივალის მონაწილეების შეფასებით, "ნატახტარის" რიგით მესამე ფესტივალი ყველაზე უკეთ იყო ორგანიზებული. სასურველია, რომ მომავალ წელს ფესტივალი კიდევ უფრო დახვეწილი, გემოვნებიანი და მასშტაბური იყოს. ლუდის ზეიმში, თბილისში, სულ უფრო მეტი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას.



ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ განუზომლად დიდი დანაკლისი განიცადა - გარდაიცვალა ნინო ჯავახიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სამედიცინო-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახ. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის საპატიო დოქტორი, საქართველოს ქალთა საბჭოს საპატიო თავმჯდომარე, ღირსების ორდენის კავალერი.



ქალბატონი ნინო ჯავახიშვილი ქართველ მეცნიერთა იმ კოჰორტის უხუცესი წარმომადგენელია, რომელმაც ადამიანური და პროფესიული თვისებებით, სიტყვით და საქმით, მოქალაქეობრივი პოზიციით შვიდ ათეულ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში განსაზღვრა ქართული სამედიცინო და სამეცნიერო აზრის წარმატება და ავტორიტეტი.

ქალბატონი ნინოს მიერ აღზრდილი მოსწავლეები დღეს ღირსეულად აგრძელებენ და ავითარებენ დიდი მასშტაბების დანაშაულებს საქმეს; დარწმუნებულნი ვართ, ასე იქნება მომავალშიც.

ქალბატონი ნინო ჯავახიშვილის პროფესიული ბიოგრაფიის დასაწყისი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიის პირველ ფურცლებს ემთხვევა. ქალბატონი ნინო 1935 წელს სამედიცინო ინსტიტუტის პირველ კურსდამთავრებულთა შორის იყო; ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მან საქმიანობა მორფოლოგიური მეცნიერების

განვითარებას დაუკავშირა და ეს გზა კვლავ სამედიცინო ინსტიტუტში დაიწყო; იგი იყო ჯერ ანატომიის კათედრის ასისტენტი, შემდეგ - დოცენტი. ამის შემდგომ სიცოცხლის ბოლომდე, უკვე სხვა ასპარეზზე მოღვაწეობის დროსაც, იგი აქტიურად იყო ჩართული სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო და აკადემიური კადრის აღზრდასა თუ ატესტაციის პროცესში. მისი სიტყვა იყო ყოველთვის ობიექტური, დროული და სამართლიანი; ამიტომაც იყო ნინო ჯავახიშვილის ავტორიტეტი შეუვალი, პატივისცემა და ნდობა მისდამი - უკიდევანო, სიყვარული - ღრმა და უანგარო. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თითოეული წევრი - დიდი თუ პატა-

რა - ყოველთვის გრძნობდა მის სიტბოს, საქმიან მხარდაჭერას, ტაქტს და ინტელიგენტობას. იგი იყო და არის მისაბაძი ექიმთა არაერთი თაობის წარმომადგენელთათვის. აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის შეფასებას საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა - იგი ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მრჩეველი ბრძანდებოდა, 2003 წელს კი არჩეული იქნა წლის ქალბატონად.

აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის დამსახურება სამედიცინო მეცნიერების წინაშე აღიარებულია მსოფლიო საზოგადოების მიერ; მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან იგი იყო ევროპის რამდენიმე ქვეყნის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, თურქეთის პროფესიული და დარგობრივი საზოგადოებების წევრი, საერთაშორისო დარგობრივი სამეცნიერო პერიოდული ჟურნალების რედაქტორი და სარედაქციო საბჭოს წევრი. აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა 300-მდე პუბლიკაციაა, მათ შორის 50-მდე საზღვარგარეთაა გამოქვეყნებული; იგი ავტორია 7 მონოგრაფიისა, მისი ხელმძღვანელობით დაცულია 50-ზე მეტი დისერტაცია. იგი მონაწილეობდა რამდენიმე ათეული საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო კონგრესის მუშაობაში და მისი კვლევის შედეგები ყოველთვის იმსახურებდა დიდ ინტერესს და მონონებას.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის მოქალაქეობრივი და საზოგადოებრივი აქტივობა. 1945 წელს, პარიზში იგი მონაწილეობდა ქალთა საერთაშორისო ფედერაციის დამფუძნებელი კონგრესის მუშაობაში და მისი აქტივობა ამ მიმართულებით სიცოცხლის ბოლომდე არ

შენწყვეტილა. იგი, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი, აქტიური იყო ჩვენი ქვეყნის განვითარების ყველაზე რთულ ეტაპებზე. ამიტომაც, კანონზომიერია, რომ იგი - საქართველოს რესპუბლიკის პირველი მონწივეის უზენაესი საბჭოს დეპუტატი - 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელმომწერთა შორისაა.

აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი იყო ეპოქა ქართული სამედიცინო მეცნიერების ისტორიაში, ეპოქა, როდესაც საფუძველი ჩაეყარა და განვითარდა ქართული სამეცნიერო აზრი, აღიზარდნენ ქართველი მკვლევარები და იგი ამ საშვილიშვილო საქმის აქტიური მონაწილე იყო. ამიტომაც, იგი სრულიად დამსახურებულად 2005 წელს ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ დასახელდა "XXI საუკუნის დიდ მოაზროვნედ".

აკადემიკოსმა ნინო ჯავახიშვილმა ღირსეულად იცხოვრა და ღირსეულად წავიდა მაშინ, როდესაც, ასწლოვან ასაკს მიტანებულს, შემოქმედებითი გეგმები ჰქონდა...

აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილის ინტელიგენტობა, კომპეტენტურობა, ობიექტურობა, მოქალაქეობრივი პოზიცია, ადამიანური სიტბო და პროფესიონალიზმი მუდამ მისაბაძი იქნება მისი მადლიერი მოსწავლეებისთვის, პატივისცემელი კოლეგებისთვის, მოყვარული ახლობლებისთვის.

მშვიდობით, ქალბატონი ნინო!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

რონდო, რედ ბული, KING OF THE ROCK

ალექსანდრა ასათიანი

29 ივლისს ჩვენთან, მეტეხის ხიდზე მაგარი ამბები წავა. ქუჩის კალათბურთში უკვე პროგრესი გვაქვს. რამდენიმე საინტერესო ტურნირი, რამდენიმე მსუყე ლონს-ძიება, კარგი პიარი, ნორმალური გუნდები, უკეთესი პერსპექტივა. ქუჩის კალათბურთში სერიოზული ტურნირი იქნება და ამ ტურნირის ორგანიზატორი ყველაზე სერიოზული ენერჯაიზერი, Red Bull იქნება. 29 ივლისი, Red Bull King of the Rock 2012, ქუჩის კალათბურთის ყველაზე სოლიდური ტურნირის ერთ-ერთი ეტაპი თბილისში იქნება. წამოიღო.

თავის ამბავში სერიოზულად გაქაჩა ბაირონ დევისმა. მისტერ დევისი ამერიკულ გარეგნებში, NBA-ს პირადულში მაგარი კაცი იყო. ბაირონ დევისს ამერიკულ სუპერლიგაში რესპექტაბელური კარიერა და სტატისტიკა აქვს.

თავის ამბავში სერიოზულად გაქაჩა კრის პოლმა. მისტერ პოლი დღეს პირველ ნომრებში პირველი კაცია და პროფესორობს. პოლი "კლიბერსში" ლექციებს კითხულობს და პერსპექტივაში, კარგი პერსპექტივა აქვს. კრის პოლი ჩვენი კაცია.

თავის ამბავში ბევრს მიაღწია დერონ უილიამსმა, რომელიც სტოქტონურ პასებს თორნიკე შენგელიას დაუტოვებს და გაერთობა. დერონი "ბრუკლინში" გაერთობა და თორნიკე დერონის პასებით გაერთობა. უილიამსი პოლზე მოხეული ბიჭია. რეალური შემსრულებელი.

თავის ამბავში პირველი ნომერია რაჟონ რონდო. "სელტიქსის" მწვანე კომეტა ბევრს ასწრებს, სხვებს პრობლემებს უქმნის და მაგარი პასებით კვინ გარნეტს ასვენებს. რაჟონი მომავალია და "სელტიქსმა" ეს იცის. რონდო ბანდაში პირველი და ყველაზე საჭირო ფიქსატორია.



ბაირონ დევისი, კრის პოლი, დერონ უილიამსი, რაჟონ რონდო ქუჩის კალათბურთში სერიოზულად ასრულებდნენ. კოჭებში მოტეხვები, ქროსოუვერები, ნეშური პასები, მეჯიქის ინტელექტი, ტონი პარკერის მოძრაობა ქუჩური ფონით და ბევრი რეპი. დიდი დოზით რეპი. პარკერი და სნუპი ერთად მაგრად მიდის.

თბილისში ამბები ერთი-ერთზე წავა. 64 მონაწილე პირადულში ერთ

მოგებულს დაასახელებს და ის კაცი სან ფრანცისკოში, დიდ ფინალზე წავა. ბარი ბონდსის, ტიმ ლინსეკუმის "ჯაინთსი" იქ პოპულარულია. რამდენიმე დღით, სან ფრანცისკოში სტორიბოლის ამინდი იქნება. Red Bull King of the Rock 2012. მაგარია. 22 სექტემბერს, ალკატრასის ციხის ეზოში ჯეკპოტი მოიხსნება. სან ფრანცისკოში მურტალი გარჩევები წავა.

Red Bull King of the Rock-ის ჩემპიონატი პირველად 2 წლის წინ გაიმართა. ჩემპიონატის იდეის სულის ჩამდგმელია მისტერ რონდო.

ორი წლის წინ Red Bull King of the Rock გახდა Isaiah "Clutch" Bowman, შარშან - "Baby Shaq".

ტურნირში მონაწილეობას 27 ქვეყანა მიიღებს. პროექტი ხორციელდება თბილისი მერიისა და კომპანია "ბილანი"-ს პარტნიორობით.

29 ივლისს ჩვენთან, მეტეხის ხიდზე მაგარი ამბები წავა. ბაირონ დევისი, კრის პოლი, დერონ უილიამსი, რაჟონ რონდო ქუჩის კალათბურთში სერიოზულად ასრულებდნენ. კოჭებში მოტეხვები, ქროსოუვერები, ნეშური პასები, მეჯიქის ინტელექტი, ტონი პარკერის მოძრაობა ქუჩური ფონით და ბევრი რეპი. დიდი დოზით რეპი. პარკერი და სნუპი ერთად მაგრად მიდის.

გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ზ ა
ი ნ ტ ე ლ ე ქ ტ ი

ხ ა ნ ა ლ ე რ ე ბ ი

20 წ ი ბ ნ ი

გამოუქვეყნებელი
დღიურები

ცნობილი
აღაპიანების უცნობი
ავტობიოგრაფიული
უტრისები

ის, რასაც სხვაგან ვერ
წაიკითხავთ

დაგვიკავშირდით:
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 47 55 54
intelekti@caucasus.net
info@intelekti.ge
www.intelekti.ge
www.intelekti.ge